

„ინფექციური სნეულებები“

1. სპეციალობის დასახელება - „ინფექციური სნეულებები“¹.

2. სპეციალობის შინაარსი:

ინფექციური სნეულებები არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ინფექციური და პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკას, არაქირურგიულ მკურნალობას და პრევენციას.

3. ზოგადი ცოდნა. ინფექციური სნეულებების სპეციალისტმა უნდა იცოდეს:

ა) ბაქტერიული ინფექციები (პნევმოკოკური, სტაფილოკოკური, სტრეპტოკოკული ინფექციები, დიფთერია, ტეტანუსი, ბოტულიზმი, ანთრაქს-ინფექცია, ლისტერიოზი, კლოსტრიდიული ინფექციები, ანაერობული ინფექციები, მენინგოკოკური ინფექცია, გრამუარყოფითი ნაწლავური ინფექციები - სალმონელოზები და მუცლის ტიფი, შიგელიოზი, ეშერიხიოზი, იერსინიოზი, ქოლერა, კამპილობაქტერიოზი, ბრუცელოზი, ტულარემია, ქოთაო, შავი ჭირი, ყივანახველა, ჰემოფილური ინფექცია, ლეგიონელოზი, ბორელიოზი, ლეპტოსპიროზი, სოდოკუ, ეპიდემიური შებრუნებითი ტიფი. ასევე, ერიზიპელოიდოზი, ნეკრობაცილოზი, პასტერელიოზი, ტილისმიერი შებრუნებითი ტიფი, მელიოიდოზი, კეთრი, ბართონელოზი, კატის ნაფხაჭნის დაავადება;

ბ) ვირუსული ინფექციები: გრიპი, ფრინველის გრიპი, H1N1-პანდემიური გრიპი, პარაგრიპი, ადენოვირუსული ინფექცია, რესპირატორულ-სინციტიური ვირუსული ინფექცია, კორონავირუსული ინფექცია, რინოვირუსული ინფექცია, ენტეროვირუსული ინფექცია, ვირუსული ჰეპატიტები (A, B, C D, E), აივ ინფექცია/შიდსი, ჰერპეს ვირუსული ინფექციები (მარტივი ჰერპესი, 1 და 2 ტიპის ვირუსებით გამოწვეული დაავადებები, ებშტეინ-ბარის ვირუსული ინფექცია, ჩუტყვავილა, ჰერპეს ზოსტერი, ციტომეგალოვირუსული ინფექცია, ჰერპესვირუსები 6, 7, 8-ით გამოწვეული ინფექციები), პოლიომიელიტი, წითელა, წითურა, ეპიდემიური პაროტიტი, როტავირუსული ინფექცია, პაპილომავირუსული ინფექცია, პარვოვირუსული ინფექციები, ცოფი, თურქული, ჰემორაგიული ცხელებები (ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, ჰემორაგიული ცხელება თირკმლის სინდრომით, დენგეს ცხელება, ყვითელი ცხელება, ებოლას ვირუსული დაავადება, ლიმფოციტური ქორიომენინგიტი, დასავლეთ ნილის ცხელება, პაპატაჩის ცხელება). ასევე, ყვავილი, მაიმუნის ყვავილი, ომსკის ჰემორაგიული ცხელება, კიასანურის ტყის დაავადება, ლასას ცხელება, მარბურგის ცხელება, არგენტინული ჰემორაგიული ცხელება, ბოლივიური ჰემორაგიული ცხელება, ტკიპისმიერი ენცეფალიტი, იაპონური ენცეფალიტი, ვენესუელის ცხენის ენცეფალომიელიტი,

¹„ინფექციურ სნეულებებში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს უფლება აქვს, განახორციელოს როგორც ბავშვთა, ასევე, მოზრდილთა კონტიგენტის სამედიცინო მომსახურება.

დასავლეთის ცხენის ენცეფალომიელიტი, სენტ-ლუის ენცეფალიტი, რიფტის ველის ცხელება, კალიფორნიული ენცეფალიტი;

გ) რიკეტსიოზები და ქლამიდიოზები: ეპიდემიური პარტახტიანი ტიფი და ბრილ-ცისნერის დაავადება, ქუ ცხელება, ორნითოზი, ქლამიდიური ინფექციები, მიკოპლაზმოზები. ასევე, რიკეტსიოზები: ენდემური პარტახტიანი ტიფი, ცუცუგამუშის ცხელება, კლდოვანი მთების ლაქოვანი ცხელება, მარსელის ცხელება, ავსტრალიური ტკიპისმიერი რიკეტსიოზი, ვეზიკულური რიკეტსიოზი;

დ) პროტოზოოზები და ჰელმინთოზები: ამებიაზი, ტოქსოპლაზმოზი, ლეიშმანიოზი, მალარია, კრიპტოსპოროდიოზი, ბალანტიდიოზი, ჟიარდიოზი, პნევმოცისტოზი, აკანტამეზური დაავადება, ასკარიდოზი, ენტერობიოზი, ანკილოსტომიდოზი, ტრიქინელოზი, სტრონგილოიდიოზი, ფასციოლოზი, ექინოკოკოზი, დიფილობოთრიოზი, ტენიარქოზი, ტენიოზი, ჰიმენოლეპიდიოზი;

ე) მიკოზები: აქტინომიკოზი, ასპერგილოზი, ჰისტოპლაზმოზი, კანდიდოზი, ნოკარდიოზი. ასევე, მიკოზები: ბლასტომიკოზი, კოქციდიოიდიომიკოზი, მუკორომიკოზები;

ვ) პრიონებით გამოწვეული ნერვული სისტემის დეგენერაციული დაავადებები.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
	ნაწლავური ინფექციები	
A00	ქოლერა	მართვა
A01	მუცლის ტიფი და პარატიფი	მართვა
A02	სხვა სალმონელური ინფექციები	მართვა
A03	შიგელოზი	მართვა
A04	ნაწლავების სხვა ბაქტერიული ინფექციები	მართვა
A 05	სხვა ბაქტერიული საკვებისმიერი ინტოქსიკაციები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში	მართვა
A06.0 A06.1 A06.2 A06.2 A06.4 A06.9	ამებიაზი	მართვა
A07	ნაწლავების სხვა პროტოზოული ავადმყოფობები	მართვა
A08	ნაწლავთა ვირუსული და სხვა დაზუსტებული ეტიოლოგიის ინფექციები	მართვა
A09	სხვა გასტროენტერიტი და კოლიტი ინფექციური და დაუზუსტებელი ეტიოლოგიის	მართვა
	ზოგიერთი ზოონოზური ბაქტერიული ავადმყოფობა	
A20	შავი ჭირი	მართვა
A21	ტულარემია	მართვა
A22	ჯილეხი	მართვა
A23	ბრუცელოზი	მართვა
A24	ქოთაო	მართვა
A25	ვირთაგვის ნაკბენის ცხელებები	მართვა
A26	ერიზიპელოიდი	მართვა
A27	ლეპტოსპიროზი	მართვა
A28	სხვა ზოონოზური ბაქტერიული ავადმყოფობები, რომლებიც	მართვა

	არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	
	სხვა ბაქტერიული ავადმყოფობები	
A32	კანის ლისტერიოზი	მართვა
A33	ახალშობილთა ტეტანუსი	მართვა
A34	სამეანო ტეტანუსი	მართვა
A35	ტეტანუსის სხვა ფორმები	მართვა
A 36	დიფტერია	მართვა
A37	ყვიანახველა	მართვა
A38	ქუნთრუშა	მართვა
A39	მენინგოკოკური ინფექცია	მართვა
A40	სტრეპტოკოკული სეფსისი	მართვა
A 41	სხვა სეპტიცემიები	მართვა
A42	აქტინომიკოზები	მართვა
A43	ნოკარდიოზი	მართვა
A44	ბარტონელოზი	მართვა
A46	წითელი ქარი	მართვა
A 48	სხვა ბაქტერიული ავადმყოფობები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
A 49	ბაქტერიული ინფექცია, დაუზუსტებელი ლოკალიზაციით	მართვა
	სხვა სპიროქეტული ავადმყოფობები	
A68	შებრუნებითი ცხელებები	მართვა
A69	სხვა სპიროქეტული ინფექციები	მართვა
	ქლამიდიებით გამოწვეული სხვა ავადმყოფობები	მართვა
A70	Chlamydia psittaci-თ გამოწვეული ინფექცია	მართვა
A71	ტრაქომა	მართვა
A74	ქლამიდიებით გამოწვეული სხვა ავადმყოფობები	მართვა
	რიკეტსიოზები	
A75	პარტახტიანი ტიფი	მართვა
A77	ლაქოვანი ცხელება	მართვა
A78	Q ცხელება	მართვა
A79	სხვა რიკეტსიოზები	მართვა
	ცენტრალური ნერვული სისტემის ვირუსული ინფექცია	
A80	მწვავე პოლიომიელიტი	მართვა
A82	ცოფი	მართვა
A83	კოლოსმიერი ენცეფალიტი	მართვა
A84	ტკიპისმიერი ენცეფალიტი	მართვა
A85	სხვა ვირუსული ენცეფალიტები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
A86	ვირუსული ენცეფალიტი, დაუზუსტებელი	მართვა
A87	ვირუსული მენინგიტი	მართვა
A88	ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა ვირუსული ავადმყოფობები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
A89	ცენტრალური ნერვული სისტემის ვირუსული ინფექცია, დაუზუსტებელი	მართვა
	ფეხსახსრიანებისმიერი ვირუსული ცხელებები და ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	
A90-A91	დენგეს ცხელება	მართვა
A92	კოლოსმიერი სხვა ვირუსული ცხელებები	მართვა

A93	ფეხსახსრიანებისმიერი სხვა ვირუსული ცხელებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
A94	ფეხსახსრიანებისმიერი ვირუსული ცხელება, დაუზუსტებელი	მართვა
A95	ყვითელი ცხელება	მართვა
A96	არენავირუსული ჰემორაგიული ცხელება	მართვა
A98	სხვა ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
A99	ვირუსული ჰემორაგიული ცხელება, დაუზუსტებელი	მართვა
	ზედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციული ინფექციები	
J00	მწვავე ნაზოფარინგიტი [სურდო]	მართვა
J01	მწვავე სინუსიტი	მართვა
J02	მწვავე ფარინგიტი	მართვა
J03	მწვავე ტონზილიტი	მართვა
J04	მწვავე ლარინგიტი და ტრაქეიტი	მართვა
J05	მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი [კრუპი] და ეპიგლოტიტი	მართვა
J06	ზედა სასუნთქი გზების სხვადასხვა დადაუზუსტებელი ლოკალიზაციის მწვავე ინფექციები	მართვა
	გრიპი და პნევმონია	
J09	გრიპი, გამოწვეული ზოგიერთი იდენტიფიცირებული ვირუსით	მართვა
J10	გრიპი, გამოწვეული გრიპის იდენტიფიცირებული ვირუსით	მართვა
J11	გრიპი, ვირუსი არ არის იდენტიფიცირებული	მართვა
J12	ვირუსული პნევმონია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
J13	პნევმონია გამოწვეული Streptococcus pneumoniae-თი	მართვა
J14	პნევმონია გამოწვეული Haemophilus influenzae-თი (აფანასიევ-პფეიფერის ჩხირი)	მართვა
J15	ბაქტერიული პნევმონია, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
J16	პნევმონია გამოწვეული სხვა ინფექციური აგენტებით, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
J17	პნევმონია იმ ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
J18	პნევმონია, გამოწვევის დაზუსტების გარეშე	მართვა
	ქვედა სასუნთქი გზების მწვავე სხვა რესპირაციული ინფექციები	
J20	მწვავე ბრონქიტი	მართვა
J22	ქვედა სასუნთქი გზების მწვავე რესპირაციული ინფექცია, დაუზუსტებელი	მართვა
J21	მწვავე ბრონქოლიტი	მართვა
J80	მოზრდილთა რესპირატორულ დისტრეს სინდრომი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)

J81	ფილტვის შეშუპება	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
J96.0	სუნთქვის მწვავე უკმარისობა	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
U04	მძიმე მწვავე რესპირაციული სინდრომი (SARS) და სხვა კორონავირუსული ინფექციები	მართვა
	ვირუსული ინფექციები, რომლებსაც ახასიათებს კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანება	
B00	ჰერპესვირუსული [herpes simplex] ინფექციები	მართვა
B01	ჩუტყვავილისმიერი მენინგიტი (G 02.0*)	მართვა
B02	ზოსტერი [Herpes Zoster]	მართვა
B03	ყვავილი	მართვა
B04	მაიმუნის ყვავილის ვირუსით გამოწვეული ინფექცია	მართვა
B05	წითელა	მართვა
B06	წითურა	მართვა
B08.0 B08.2 B08.3 B08.4 B08.5 B08.8	სხვა ვირუსული ინფექციები, რომლებიც ხასიათდება კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანებით და არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
B09	ვირუსული ინფექციები, რომელიც ხასიათდება კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანებით, დაუზუსტებელი	მართვა
Z24	იმუნოზაციის აუცილებლობა ერთი განსაზღვრული ვირუსული ავადმყოფობის წინააღმდეგ	მართვა
	ვირუსული ჰეპატიტი	
B15	A ჰეპატიტი	მართვა
B16	მწვავე B ჰეპატიტი	მართვა
B17	სხვა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი	მართვა
B19	ვირუსული ჰეპატიტი, დაუზუსტებელი	მართვა
B18	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტები	მართვა
K72.0	ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
K74	ღვიძლის ფიბროზი და ციროზი	მართვა
K75.4	ავტოიმუნური ჰეპატიტი	მართვა
K76.6	პორტული ჰიპერტენზია	მართვა
	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით [აივ] გამოწვეული ავადმყოფობა	
B20	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით [აივ] გამოწვეული	მართვა

	ავადმყოფობა, გამოვლენილი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების სახით	
B21	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით [აივ] გამოწვეული ავადმყოფობის შედეგად განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნეები	მართვა
B22	ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსით [აივ] გამოწვეული ავადმყოფობის შედეგად განვითარებული სხვა დაუზუსტებელი ავადმყოფობები	მართვა
B23	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით [აივ] გამოწვეული ავადმყოფობის შედეგად განვითარებული სხვა მდგომარეობანი	მართვა
B24	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით [აივ] გამოწვეული ავადმყოფობა, დაუზუსტებელი	მართვა
	სხვა ვირუსული ავადმყოფობები	
B25	ციტომეგალოვირუსული ინფექცია	მართვა
B26	ყბაყურა	მართვა
B27	ინფექციური მონონუკლეოზი	მართვა
B30	ვირუსული კონიუნქტივიტი	მართვა
B33	სხვა ვირუსული ავადმყოფობები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
B34	დაუზუსტებელი ლოკალიზაციის ვირუსული ინფექცია	მართვა
	მიკოზები	
B37	კანდიდოზი	მართვა
B38	კოკციდიოიდომიკოზი	მართვა
B39	ჰისტოპლაზმოზი	მართვა
B40	ბლასტომიკოზი	მართვა
B41	პარაკოკციდიოიდომიკოზი	მართვა
B42	სპოროტრიქოზი	მართვა
B43	ქრომომიკოზი და ფეომიკოზური აბსცესი	მართვა
B44	ასპერგილოზი	მართვა
B45	კრიპტოკოკოზი	მართვა
B46	ზიგომიკოზი	მართვა
B48.7 B48.8	სხვა მიკოზები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
B49	მიკოზები, დაუზუსტებელი	მართვა
	პროტოზოული ავადმყოფობები	
B50	მალარია, გამოწვეული plasmodium falciparum-ით	მართვა
B51	მალარია, გამოწვეული Plasmodium vivax-ით	მართვა
B52	მალარია, გამოწვეული Plasmodium malariae-ით	მართვა
B53	პარაზიტოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებული მალარიის სხვა ფორმები	მართვა
B54	მალარია, დაუზუსტებელი	მართვა
B55	ლეიშმანიოზი	მართვა
B56	აფრიკული ტრიპანოსომოზი	მართვა
B57	შაგასის ავადმყოფობა	მართვა
B58	ტოქსოპლაზმოზი	მართვა
B59	პნევმოცისტოზი	მართვა
B60	სხვა პროტოზოული ავადმყოფობები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა

	ჰელმინთოზები	
B65	შისტოსომოზი	მართვა
B66	სხვა ტრემატოზური ინფექცია	მართვა
B67	ექინოკოკოზი	მართვა
B68	ტენიოზი	მართვა
B69	ცისტიცერკოზი	მართვა
B70	დიფილობოტრიოზი და სპარგანოზი	მართვა
B71	სხვა ცესტოდური ინვაზიები	მართვა
B72	დრაკუნკულოზი	მართვა
B73	ონქოცერკოზი	მართვა
B74	ფილარიაზი	მართვა
B75	ტრიქინელოზი	მართვა
B76	ანკილოსტომიდოზი	მართვა
B77	ასკარიდოზი	მართვა
B78	სტრონგილოიდოზი	მართვა
B79	ტრიქუროზი	მართვა
B80	ენტერობიოზი	მართვა
B81	ნაწლავთა სხვა ჰელმინთოზები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
B82	ნაწლავური პარაზიტიზმი, დაუზუსტებელი	მართვა
B83	სხვა ჰელმინთოზები	მართვა
	ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების შედეგები	
B91	პოლიომიელიტის შედეგები	მართვა
B94	სხვა დადაუზუსტებელი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების შედეგები	მართვა
	ბაქტერიული, ვირუსული და სხვა ინფექციური აგენტები	
B95	სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები, როგორც ავადმყოფობების გამომწვევები, რომლებიც კლასიფიცირებულია სხვა რუბრიკებში	მართვა
B96	სხვა ბაქტერიული აგენტები, როგორც ავადმყოფობების გამომწვევები, რომლებიც კლასიფიცირებულია სხვა რუბრიკებში	მართვა
B97	ვირუსული აგენტები, როგორც ავადმყოფობების გამომწვევები, რომლებიც კლასიფიცირებულია სხვა რუბრიკებში	მართვა
	სხვა დაუზუსტებელი ინფექციური ავადმყოფობები	
I30.1	ინფექციური პერიკარდიტი	მართვა
I32.0*	პერიკარდიტი იმ ბაქტერიული ავადმყოფობის დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
I33.0	მწვავე და ქვემწვავე ინფექციური ენდოკარდიტი	მართვა
I40.0	ინფექციური მიოკარდიტი	მართვა
I41.0*I41.1* I41.2*	მიოკარდიტები იმ ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში (მიოკარდიტი იმ ბაქტერიული ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში, მიოკარდიტი იმ ვირუსული ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში, მიოკარდიტი სხვა ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა	მართვა

	რუბრიკებში)	
M00-M03	ინფექციური ანთროპათიები	მართვა
M60.0	ინფექციური მიოზიტი	მართვა
L00, L04, L08.9	კანის და კანქვეშა ქსოვილის ინფექციები (სტაფილოკოკური დამდურული კანის სინდრომი, მწვავე ლიმფადენიტი, კანის და კანქვეშა ქსოვილის ლოკალური ინფექცია, დაუზუსტებელი)	მართვა
L08.8	კანის და კანქვეშა ქსოვილის ინფექციები (კანის და კანქვეშა ქსოვილების სხვა, დაუზუსტებული ლოკალური ინფექცია)	მართვა კომპეტენციის ფარგლებში
G00	ბაქტ. მენინგიტი, რომელიც არაა შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
G01*	მენინგიტი ბაქტერიული ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
G02*	მენინგიტი სხვა ინფექც. და პარაზიტული ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
G03*	მენინგიტი, გამოწვეული სხვა და დაუზუსტებელი მიზეზებით	მართვა
G04 (G04.2 G04.8 G04.9)	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი	მართვა
G05*	ენცეფალიტი, მიელიტი და ენცეფალომიელიტი იმ ავადმყოფობების დროს, რომლებიც შეტანილია სხვა რუბრიკებში	მართვა
G93.6	ცერებრული შეშუპება	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
N30.0	მწვავე ცისტეტი	მართვა
N39.0	საშარდე გზების ინფექცია, დაუზუსტებელი ლოკალიზაციის	მართვა
N17	თირკმლების მწვავე უკმარისობა	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
N19	თირკმლების უკმარისობა, დაუზუსტებელი (ურემია, რომელიც სხვაგვარად არ არის დაუზუსტებული)	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
D59.3	ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
D62	მწვავე პოსტჰემორაგიული სინდრომი	მართვა კომპეტენციის

		ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
D65	დისემინირებული სისხლძარღვში და შედედება [დეფიბრინაციული სინდრომი]	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
	ზოგადი სიმპტომები და ნიშნები	
R17	დაუზუსტებელი გენეზის სიყვითლე	მართვა
R18	ასციტი	მართვა
R25.2	კრუნჩხვა და სპაზმი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
R29.0	ტეტანია	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
R29.1	მენინგიზმი	მართვა
R34	ანურია და ოლიგურია	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
R40 R40.0 R40.1 R40.2	ძილიანობა, სტუპორი და კომა	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
R50	სხვა და უცნობი წარმოშობის ცხელება	მართვა
R55	სინკოპე (გულის წასვლა)-კოლაფსი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
R56.0	კონვულსიები ცხელების დროს	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)

R57 R57.1 R57.8 R57.9	შოკი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა კომპეტენციის ფარგლებში (შესაბამის სპეციალისტთან ერთად)
R59	ლიმფური კვანძების გადიდება	მართვა
R65 (R65.0 R65.1 R65.9)	სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი (საპს)	მართვა

5. სავალდებულო პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- ა) ექიმ-ინფექციონისტს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:
- ა.ა) სისხლის კლინიკური, ბიოქიმიური, სეროლოგიური, ბაქტერიოლოგიური, კოაგულაციური, იმუნოლოგიური და მოლეკულურ-გენეტიკური (პჯრ) ანალიზი;
 - ა.ბ) შარდის კლინიკური, ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური ანალიზი;
 - ა.გ) ასციტური სითხის კლინიკური, ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი;
 - ა.დ) პლევრალური სითხის კლინიკური, ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი;
 - ა.ე) განავლის კოპროლოგიური, ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური ანალიზი;
 - ა.ვ) ლიქვორის კლინიკური, ბიოქიმიური, სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზი;
 - ა.ზ) მუცლის ღრუს ორგანოების, საშარდე და გენიტალური სისტემის, ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერითი, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული და მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა;
 - ა.თ) ღვიძლის ელასტოგრაფია;
 - ა.ი) ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია;
 - ა.კ) რექტორმანოსკოპია;
 - ა.ლ) ღვიძლის, ლიმფური ჯირკვლების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და სხვა ბიოფსია;
 - ა.მ) ნახველის მიკროსკოპული გამოკვლევა, ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური ანალიზი;
 - ა.ნ) ცხვირ-ხახის ნაცხის ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური და სეროლოგიური ანალიზი;
 - ა.ო) გულმკერდის რენტგენოლოგიური, KT, MRI კვლევა;
 - ა.პ) თავის ტვინის KT, MRI;
 - ა.ჟ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი და ენდოსკოპიური გამოკვლევები;
 - ა.რ) არტერიული სისხლის გაზების, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის და ელექტორლიტური ბალანსის მაჩვენებლები;
 - ა.ს) ჰორმონალური კვლევები;
 - ა.ტ) ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფია;
 - ა.უ) ელექტრკარდიოგრაფია და ექოკარდიოგრაფია;
 - ა.ფ) პარაზიტების ანტიგენების და მათი საწინააღმდეგო ანტისხეულების დეტექციის ტესტები;
 - ა.ქ) ძვლის ტვინის პუნქტატში ლეიშმანიების იდენტიფიცირება;
 - ა.ღ) სისხლის სქელ წვეთში და პერიფერიულ სისხლში მალარიის პლაზმოდუიმების იდენტიფიცირება;

- ა.ყ) ჰელმინთების გამოკვლევის ლაბორატორიული მეთოდები: ნატიური ნაცხი, ბერმან-ტელემანის, ფიულეზორნის, კატო-კატცის ტესტები;
- ა.შ) ექინოკოკის სქოლექსების იდენტიფიცირება;
- ა.ჩ) მორფოლოგიური გამოკვლევა (ციტომორფოლოგია, ჰისტომორფოლოგია);
- ა.ც) სადიაგნოსტიკო მასალის მიკროსკოპული პრეპარატის ინტერპრეტაცია;
- ა.ძ) დენსიტომეტრია.

- ბ) ექიმ-ინფექციონისტს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:
 - ბ.ა) პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია;
 - ბ.ბ) ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა;
 - ბ.გ) ზონდით კვება;
 - ბ.დ) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (ფოლის კათეტერის გამოყენება);
 - ბ.ე) ლუმბალური პუნქცია;
 - ბ.ვ) ალერგიული სინჯების წარმოება (შრატებით მკურნალობის შემთხვევაში);
 - ბ.ზ) ვაქცინაცია, რისკის ფაქტორების შეფასება;
 - ბ.თ) პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩატარება: გულის არაპირდაპირი მასაჟი, ხელოვნური სუნთქვის წარმოება ამბუს პარკით, ელექტრული დეფიბრილაცია;
 - ბ.ი) სადიაგნოსტიკო მასალის მიკროსკოპული პრეპარატის მომზადება, შეღებვა;
 - ბ.კ) ინტრავენური კათეტერის მენჯემენტი, შენარჩუნება და გამოცვლა ანტიმიკრობული და ბიოლოგიური პროდუქტების შეყვანისათვის;
 - ბ.ლ) კოპროსკოპია;
 - ბ.მ) ბიოლოგიური მასალის აღება ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, სეროლოგიური, ბიოქიმიური და სხვა გამოკვლევებისათვის.

6. გარდამავალი ეტაპის რეგულირება:

ა) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს საექიმო სპეციალობაში „სამედიცინო პარაზიტოლოგია“, „პარაზიტოლოგია“, უფლება აქვს, განახორციელოს საექიმო საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობის ფარგლებში;

ბ) ექიმებს, რომელთაც 2014 წლამდე მინიჭებული ჰქონდათ სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობაში „სამედიცინო პარაზიტოლოგია“, „პარაზიტოლოგია“, გადამზადების კურსის გავლის შემდეგ, შესაბამისი დარგობრივი პროფესიული ასოციაციის რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, უფლება აქვთ, მოიპოვონ სახელმწიფო სერტიფიკატი საექიმო სპეციალობაში - „ინფექციური სნეულებები“. გადამზადების კურსის მოცულობასა და ხანგრძლივობას განსაზღვრავს დარგობრივი პროფესიული ასოციაცია, „ინფექციური სნეულებების“ დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების)/სარეზიდენტო პროგრამის საფუძველზე.